ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №961036

ნომერი: AR1161531

თარიღი : 13.09.2013

გაცემის თარიღი : 24.10.2013

გაცნობის თარიღი : 29.10.2013

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი რუსთაველი , N 14 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნინო მაჭავარიანი პ/ნ 01025015969
- დიდი დიღომი, მე-3 მ/რ, 29 კორპ,ბინა 34აა

ორგანიზაცია:
- შპს "ჯეოსელი" კოდი: 203841940

ნომენკლატურა :

- მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები (ექსტერიერისა და ინტერიერის სარესტავრაციო, სარემონტო და გაწმენდის სამუშაოები)
- II კლასი
- ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები
- მშენებლობის ნებართვა

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნინო მაჭავარიანი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01025015969

.კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არქიტექტურული პროექტი:

- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გურამ ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით საქართველოს პარლამენტის მიერ ,,კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონში (47-ე მუხლი) განხორციელებული ცვლილების თანახმად, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოებისა და არქეოლოგიური სამუშაოების ნებართვებს გასცემს სამინისტრო ან სამინისტროს წარდგინებით, საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე განსაზღვრული შესაბამისი უფლებამოსილი ორგანო. ნებართვა გაიცემა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასრულებისათვის საჭირო ვადით, სამუშაოთა მოცულობის, სირთულის, გარემო პირობების, ასევე ნებართვის მაძიებლის მიერ წარმოდგენილი სამუშაოების ჩატარების კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით.

გადაწყვეტილება

გაცნობებთ, რომ 2013 წლის 13 სექტემბერს ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურში შემოვიდა თქვენი N AR1161531 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, რუსთაველის გამზ. N14–ში არსებული შენობის ფასადზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშოების განხორციელებას, კერძოდ სარეკლამო აბრის მოწყობის ნებართვის გაცემას. საპროექტო ობიექტს "ქ. თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სტატუსის მინიჭების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 1 ოქტომბრის N3/181 ბრძანების საფუძველზე მინიჭებული აქვს კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსი. აღნიშნულის გათვალისწინებით, თქვენი 2013 წლის 13 სექტემბრის N AR1161531 განცხადების განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება სცდება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფლებამოსილების საზღვრებს.

საკითხის განსახილველად უნდა მიმართოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, მდებარე, ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.#4.